



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



ევროკავშირის სამართალი და ასოციირების შეთანხმება

Jean Monnet Project

Erasmus+, Caucasus University

ევროკავშირის სამართლებრივი სახე

LFEU

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

ეკატერინე ქარდავა/EKATERINE KARDAVA

20 მაისი/MAY 2021



საქართველო და ევროპული ინტეგრაცია



- 1996 წ. - პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის - ოფიციალური ევროპული ინტეგრაციისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის დაწყების თარიღი.
- 2004 წ. საქართველო ხდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ბენეფიციარი
- 2008-2009 წწ. - საქართველოს ხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ბენეფიციარი
- 2009 წ. - პარტნიორობა მობილურობისათვის
- 2010 წ. - ა) ვიზის გამარტივების შეთანხმება; ბ) რეადმისიის შეთანხმება; გ) ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმება
- 2014 წ. AA/DCFTA
- 2016 - ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება
- 2017წ. უვიზო რეჟიმი შენგენის სივრცეში

AA/DCFTA - განსაკუთრებული საერთაშორისო ხელშეკრულება



➤ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (7(8):

თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

➤ საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირის სამართალი



ევროკავშირის სამართალი არ ეყრდნობა ერთ უზენაეს აქტს (მსგავსად კონსტიტუციისა). ევროკავშირს ჰქონდა სურვილი მიეღო კონსტიტუცია, რომელსაც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს 2004 წელს. მაგრამ ეს პროექტი ჩავარდა.

ევროკავშირის სამართალი არის საერთო სამართალი 27 წევრი სახელმწიფოსათვის.

ევროკავშირის სამართალის ძირითადი წყაროებია:

- პირველადი (primary) კანონმდებლობა
- მეორეული (secondary) კანონმდებლობა
- დამატებითი კანონმდებლობა (დაუწერელი წყაროები/supplementary law).

არაფერი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პირველად კანონმდებლობას.



ევროკავშირის სამართლის კონკრეტული წყაროებია:

- ევროკავშირის ხელშეკრულებები (ევროკავშირის დამფუძნებელი/ფუნდამენტური/საბაზისო ხელშეკრულებები)
- რეგულაციები/რეგლამენტები
- დირექტივები
- გადაწყვეტილებები
- რეკომენდაციები
- პოზიციები
- საერთაშორისო ხელშეკრულებები
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებები (CJEU)



1. პირველადი კანონმდებლობა

- ევროკავშირის ხელშეკრულებები (ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ხელშეკრულებები იგივე დამფუძნებელი/ფუნდამენტური ხელშეკრულებები)
- ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (ინტეგრირებულია ლისაბონის ხელშეკრულებაში)
- CJEU-ის მიერ დადგენილი პრინციპები



ევროკავშირის საბაზისო ხელშეკრულებები/პირველადი კანონმდებლობა

- ❖ ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების შესახებ შეთანხმება, პარიზის შეთანხმება, 1951 წ. - მოქმედებდა 50 წელი (დააფუძნა პირველი ევროგაერთიანება)
- ❖ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ შეთანხმება - რომის ხელშეკრულება, 1957წ. (დააფუძნა მეორე ევროგაერთიანება)
- ❖ ევრატომი, რომის ხელშეკრულება, 1957 წ. (დააფუძნა მესამე ევროგაერთიანება)
- ❖ შერწყმის ხელშეკრულება იგივე ბრიუსელის ხელშეკრულება, 1965 წ. (გააერთიანება სამივე ევროგაერთიანების სტრუქტურები და ჩამოაყალიბა ერთი ევროგაერთიანება).
- ❖ ევროპის ერთიანი აქტი, 1986 წ. (1957 წლის რომის ხელშეკრულების პირველი რევიზია).
- ❖ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (TEU) იგივე მაასტრიხტის ხელშეკრულება, 1992 წ. (დააფუძნა ევროკავშირი).
- ❖ ამსტერდამის ხელშეკრულება, 1997 წ. (ცვლილებები მაასტრიხტის ხელშეკრულებაში)
- ❖ ნიცის ხელშეკრულება, 2001 წ. ცვლილებები მაასტრიხტის ხელშეკრულებაში
- ❖ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება/TFEU იგივე ლისაბონის ხელშეკრულება, 2007 წ. (1957 წლის ხელშეკრულების დიდი რევიზია და ცვლილებები მაასტრიხტის ხელშეკრულებაში).



ამჟამად, ევროკავშირის საბაზისო ხელშეკრულებები კონსოლიდირებულია 3 ხელშეკრულებაში:

- **TEU** - ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (მაასტრიხტის ხელშეკრულება)
- **TFEU** - ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (ლისაბონის ხელშეკრულება)
- **ევრატომი** (რომის ხელშეკრულება).

ასოცირების შეთანხმებაც უთითებს ზემოაღნიშნულ სამ ხელშეკრულებაზე (მუხლი 428, მუხლი 429(1) და სხვა).



2. ძირითადი მეორეული კანონმდებლობა შეესაბამება პირველად კანონმდებლობას

სავალდებულო/მბოჭავი

- რეგლამენტი/რეგულაცია
- დირექტივა
- გადაწყვეტილება

არასავალდებულო

- რეკომენდაცია
- პოზიცია



რეგლამენტი

- საკანონმდებლო აქტია (მიიღება ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტის მიერ)
- სავალდებულო/მბოჭავი აქტია
- პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე აქტია
- არ საჭიროებს გადატანას (**transposition**) ეროვნულ კანონმდებლობაში. როგორც კი მიიღებს ევროკავშირი, ავტომატურად ხდება შიდაეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.
- ზუსტად და განუხრელად შესასრულებელია
- მიემართება ყველას - ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, კერძო პირებს.
- იწყებს მოქმედებას ძალაში შესვლის დღიდან (როგორც წესი გამოქვეყნებიდან 20 დღეში).



დირექტივა

- საკანონმდებლო აქტია (მიიღება ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ)
- სავალდებულო/მბოჭავი აქტი
- არ აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა (იშვიათი გამონაკლისის გარდა)
- საჭიროებს გადატანას ეროვნულ კანონმდებლობაში
- გადატანის ფორმა თავისუფალია (იქნება ეს კანონი, მთავრობის აქტი, მინისტრის აქტი თუ სხვა).
- როგორც წესი იძლევა დროს ეროვნულ დონეზე გადატანის მიზნით, მაგალითად, 24 თვე.
- მიემართება ყველა წევრ სახელმწიფოს

ევროკავშირის სამართალი



თუ ქვეყანამ დადგენილ ვადაში არ მოახდინა დირექტივის მიზნებთან დაახლოება და ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბება, ევროკომისიას აქვს უფლებამოსილება დაიწყოს პროცედურები ქვეყნის წინააღმდეგ.

დირექტივა იძლევა შესაძლებლობას ქვეყანამ დაადგინოს იმაზე მაღალი და ძლიერი სტანდარტები, ვიდრე ეს დირექტივითაა განსაზღვრული, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში: გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები, შრომის უფლებები, ჯანმრთელობა.

აგრეთვე, დირექტივა იძლევა შესაძლებლობას ქვეყანამ გაითვალისწინოს ადგილობრივი ვითარება, სპეციფიკა და ინდივიდუალური ინსტრუმენტების ჩამოყალიბებით დაუახლოვდეს დირექტივის მიზნებსა და სტანდარტებს.

ამრიგად, რიგ სფეროებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართლებრივი პრაქტიკა განსხვავებულია იქ, სადაც დირექტივის დაფარვის სფეროა.



გადაწყვეტილება

- შეიძლება იყოს საკანონმდებლო აქტი ან არასაკანონმდებლო აქტი (საკანონმდებლოა, თუ ის მიიღება ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ; არასაკანონმდებლოა, თუ ის მიიღება კომისიის მიერ; როგორც არასაკანონმდებლო აქტი შეიძლება იყოს დელეგირებული ან საიმპლემენტაციო აქტი).
- მიემართება არა მხოლოდ ქვეყანას, არამედ ინდივიდუალურ პირებსაც; შეიძლება მიემართებოდეს არა ყველა წევრ ქვეყანას, არამედ რამდენიმეს.
- აქვს პირდაპირი გამოყენების ძალა, თუ მიემართება ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ პირს უშუალოდ.



რეკომენდაცია

- არასავალდებულოა შესასრულებლად
- აქვს პოლიტიკური წონა
- ირიბი ინსტრუმენტია იმ მიზნით, რომ მოამზადოს ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამათუიმ სფეროში სტანდარტის განვითარებისა და საკანონმდებლო ცვლილებებისთვის
- იღებს/ამტკიცებს (ძირითადად) ევროკომისია



ასოცირების შეთანხმების დანართებში
ძირითადად ასახულია მეორეული
კანონმდებლობა -
რეგლამენტები,
დირექტივები,
გადაწყვეტილებები
და რეკომენდაციები



3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო/CJEU გადაწყვეტილებები

- ❖ CJEU-ის პრაქტიკა ხელს უწყობს ევროკავშირის კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას ყველა წევრ სახელმწიფოში. სასამართლო ძირითადად განმარტავს ევროკავშირის პირველადი და მეორეული კანონმდებლობის დებულებებს.
- ❖ CJEU-ის გადაწყვეტილებები საბოლოოა, არ საჩივრდება და სავალდებულოდ შესასრულებელია.



ევროკავშირი სამართლის გამოყენებისას მოქმედებს 3 ძირითადი პრინციპი:

- მინიჭებული ძალაუფლების პრინციპი - ევროკავშირი მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი (მხოლოდ მაშინ და იმ სფეროში იღებს კანონებს), თუ მას წევრმა ქვეყნებმა ერთხმად მიანიჭეს კომპეტენცია
- პროპორციულობის პრინციპი - ევროკავშირის მოქმედება არ უნდა გასცდეს იმ ფორმას და შინაარსს, რაც საჭიროა საბაზისო ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად.
- სუბსიდიარიზმის პრინციპი - იქ, სადაც ევროკავშირსაც შეუძლია მოქმედება და წევრ სახელმწიფოსაც, ევროკავშირს მხოლოდ მაშინ შეუძლია ჩარევა, თუ მას უფრო ეფექტურად შეუძლია იმოქმედოს, ვიდრე წევრ ქვეყანას.

სუბსიდიარიზმისა და პროპორციულობის პრინციპი წარმოადგენს ევროკავშირის ძალაუფლების გაზომვის სამართლებრივ პრინციპებს.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა, ორგანიზების სისტემა



რა არის ასოცირების შეთანხმება - AA?

- აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის ფარგლებში დადებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება. ასეთი ხელშეკრულება ევროკავშირმა დადო საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან.
- 2014 წელს შტეფან ფულემ (ევროკომისარმა) თქვა:
- *ეს არ არის შეთანხმება სრული დასაქმებისა და ხელფასების მატების შესახებ. თუმცა, დროთა განმავლობაში ის მოემსახურება კეთილდღეობის განვითარებას. მაგრამ ეს არ მოხდება ერთ ღამეში. „პირველ რიგში ეს არის შეთანხმება წესებისა და რეგულაციების დადგენის შესახებ... ძალიან მოკლედ კი, ეს არის მომავალში ინვესტირების შეთანხმება“.*

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“

საქართველომ ხელშეკრულება დადო არამხოლოდ ევროკავშირთან, არამედ, ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან და ევრატომთან.

რამ გამოიწვია მხარეთა სიმრავლე?

AA-მ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს/იზიარებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან. შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც.

ევრატომი არის ევროპული გაერთიანება ატომური ენერჯის დარგში, დაფუძნდა 1957 წლის რომის ხელშეკრულებით. ხელშეკრულება მიეკუთვნება ევროკავშირის პირველად კანონმდებლობას, მას მართავენ ევროკავშირის ინსტიტუტები.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



ძალაში შესვლა და ამოქმედება:

- ❖ ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს.
- ❖ ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 18 ივლისს, 2014 წ.
- ❖ ასოცირების შეთანხმების სრულად ძალაში შესვლა საჭიროებდა ყველა ხელმშემკვრელი მხარისაგან რატიფიცირების პროცედურების გავლას, რასაც დასჭირდა დაახლოებით 2 წელი.
- ❖ ასოცირების შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



თუმცა 2016 წლის 1 ივლისი არ არის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებათა უმრავლესობის შესრულების დაწყების/ათვის წერტილი.

- ❖ შეთანხმების 431-ე მუხლსა და ევროკავშირის მხრიდან ქართული მხარისათვის გადაცემული ნოტიფიკაციის ტექსტში აღინიშნა, რომ შეთანხმებაზე გავრცელდება დროებითი გამოყენების რეჟიმი, რაც აითვლება 2014 წლის 1 სექტემბრიდან.
- ❖ ეს იყო გზავნილი და მზაობა, რომ მხარეები არ დალოდებოდნენ ასოცირების შეთანხმების სრულად ძალაში შესვლას და განსაკუთრებით სავაჭრო სფეროში (DCFTA) დაწყებულიყო ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესრულება.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



ასოცირების შეთანხმების ვადა

- „წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით“ (მუხლი 427)
- მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვალდებულებათა შესრულების კონკრეტული ვადები მითითებულია დანართებში (სადაც ევროკავშირის თითოეულ კანონმდებლობასთან დაახლოების კონკრეტული თარიღებია მითითებული).

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



ევროპული პერსპექტივა (გაწევრიანების პერსპექტივა)

AA-ში არ არის ევროპულ გაწევრიანებასთან დაკავშირებული დებულება. ასოცირების შეთანხმების შესრულება არ წარმოადგენს წინაპირობას გაწევრიანებისათვის.

ქვეყანა უნდა იყოს **ევროპული**, რომ მან მოიპოვოს გაწევრიანების უფლება.

ასოცირების შეთანხმებით საქართველო აღიარებულია როგორც **აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა**.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



ასოცირების შეთანხმების ტერიტორიული გამოყენება

- დე-იურე ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე
- მაგრამ შეზღუდულია მისი გამოყენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გამოყენება პირობადებულია.
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასოცირების შეთანხმების და მისი DCFTA-ის ნაწილის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება ერთობლივად უნდა მიიღონ საქართველოსა და ევროკავშირის მხარემ.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



ასოცირების შეთანხმება შედგება:

- 8 კარისგან
- 34 დანართისგან
- 4 ოქმისგან

ასოცირების შეთანხმება ორგანიზებულია 3 ძირითადი მიმართულებით:

- პოლიტიკური ნაწილი
- DCFTA ნაწილი
- თანამშრომლობის სხვა სფეროები

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



პოლიტიკური ნაწილი

- პოლიტიკური ნაწილი შედგება 3 კარისგან
- სულ 21 მუხლი - 432 მუხლისგან.
- ამ კარებში განხილულია მიზნების მიღწევა ისეთ სფეროებში, როგორცაა:

ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორიზმთან ბრძოლა, სტაბილურობა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, კრიზისის მართვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მიგრაცია და თავშესაფარი, რეადმისია, უკანონო ნარკოტიკული დაშუალელები, ფულის გათეთრება

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



პოლიტიკური ნაწილი

ასოცირების შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილში ევროკავშირი არ ითხოვს საქართველოსგან ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას/აპროქსიმაციას, არამედ ითხოვს იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც საქართველოს წარმოეშობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობით (მაგ.: გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, სხვა).

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



პოლიტიკური ნაწილი

„მუხლი 4: შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა

მხარეები ითანამშრომლებენ, რათა განავითარონ, გაამყარონ და გაზარდონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის სტაბილურობა და ეფექტიანობა; ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემას; განაგრძონ პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებულ იქნეს სასამართლოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავ ორგანოთა მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა; განაგრძონ საჯარო მმართველობის რეფორმა და შექმნან ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური; გააგრძელონ ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ...“

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



პოლიტიკური ნაწილი

- პოლიტიკური ნაწილი შედგება 3 კარისგან
- სულ 21 მუხლი - 432 მუხლისგან.
- ამ კარებში განხილულია მიზნების მიღწევა ისეთ სფეროებში, როგორცაა:

ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორიზმთან ბრძოლა, სტაბილურობა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, კრიზისის მართვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მიგრაცია და თავშესაფარი, რეადმისია, უკანონო ნარკოტიკული დაშუალებები, ფულის გათეთრება

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



DCFTA IV კარი

DCFTA არის ასოცირების შეთანხმების ყველაზე დიდი ნაწილი.

- მუხლები 22- 276
- მას მიემართება დანართების უმრავლესობა
- აქ მოითხოვება ყველაზე დიდი მოცულობით სამართლებრივი აპროქსიმაციის განხორციელება (რეგულატორული დაახლოება)

DCFTA-ის ძირითადი მიზნები:

- ❖ საქონლის, მომსახურების გადაადგილების თავისუფლება
- ❖ ევროკავშირის შიდა ბაზრის გახსნა საქართველოში წარმოებული პროდუქტისათვის
- ❖ ეროვნული წარმოების განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობის გაზრდა და დივერსიფიცირება
- ❖ ბაზრის ლიბერალიზაცია და თავისუფლება რეგულირების გზით
- ❖ ბაზრის სოციალური ფუნქციების აღიარება და დაცვა

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



თანამშრომლო ბის სხვა სფეროები

1. ტრანსპორტი
2. ენერგეტიკა
3. გარემოს დაცვა
4. კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები
5. სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა
6. კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა
7. ფინანსური მომსახურება
8. თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში
9. ტურიზმი
10. სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება
11. მეთევზეობა
12. თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარების სფეროში
13. მომხმარებელთა პოლიტიკა
14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები
15. საზოგადოებრივი ჯანდაცვა
16. განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა
17. კულტურის სფეროში თანამშრომლობა
18. თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროში
19. თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში
20. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში
21. რეგიონული განვითარება
22. სამოქალაქო დაცვა
23. მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა



AA/DCFTA დანართები

თითოეული დანართი (სულ 34 დანართი) მიემართება ასოცირების შეთანხმების კონკრეტულ თავს და ემსახურება ამ თავში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

დანართში ევროკავშირის კანონმდებლობის რომლებსაც უნდა საქართველო.

წარმოდგენილია მეორეული დასახელებები, დაუახლოვდეს



- სამართლებრივი დაახლოება (აპროქსიმაცია) არის ცალმხრივი პროცესი - საქართველო უახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობას.
- ასოცირების შეთანხმება განსაზღვრავს ორი ტიპის სამართლებრივ დაახლოებას:
 - ეტაპობრივი დაახლოება/gradual approximation (417-ე მუხლი)
 - დინამიური დაახლოება/dynamic approximation (418-ე მუხლი)



ეტაპობრივი დაახლოება

- დაახლოება იმ **ვადებში**, რაც გაწერილია დანართებში+დაახლოება იმ **შინაარსთან**, რაც განსაზღვრულია დანართებში.
- დაახლოებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს DCFTA-ით განსაზღვრულ პრინციპებს.

აპროქსიმაცია



მინი-ქეისი

საქართველოს აქვს ვალდებულება დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობას ნარჩენების მართვის სფეროში. ამისთვის განსაზღვრულია 3 წელი.

- თქვენი აზრით, საიდან უნდა ავითვალოთ ეს 3 წელი?
- რა საქმიანობები უნდა განხორციელდეს, სანამ მოვა შესრულების ვადა? (ჩამოწერეთ/ჩამოთვალეთ) ეს საქმიანობები ლოგიკური თანმიმდევრობით.

აპროქსიმაცია



დინამიური აპროქსიმაცია

- ევროკავშირი ცვლის და აუქმებს თავის კანონებს, იღებს ახალ კანონებს. ამდენად, საქართველო უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის არა იმ კანონებს, რაც ასოცირების შეთანხმების დანართებში წერია (თუ ისინი გაუქმებულია), არამედ ევროკავშირის ახალ კანონებს.
- ამ პროცესს მუდმივი შემოწმება სჭირდება, რაც მოითხოვს შეთანხმების დანართების შეცვლას/გადახედვას.

აპროქსიმაცია



აპროქსიმაციის სტადიები/ეტაპები

საკანონმდებლო
ეტაპი

-

ევროპული
სტანდარტების
ასახვა ქართულ
კანონმდებლობაში

შესრულების/იმპლ
ემენტაციის ეტაპი

-

ევროპული
სტანდარტების
ასახვა ქართულ
პრაქტიკაში

აღსრულების ეტაპი

-

ზედამხედველობისა
და
პასუხისმგებლობის
ინსტრუმენტების
შექმნა

აპროქსიმაცია



ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგი

საქართველოს
მთავრობა

ევროკავშირის
მთავრობა -
ევროკომისია

ასევე,
ევროპარლამენტი

სამოქალაქო
სექტორი



აპროქსიმაციის
შედეგი

ევროკავშირი
საქართველოსათვის გახსნის
შიდა ბაზარს



მინი-ქეისი

მუხლი 35. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა

- 1. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბალის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
- 2. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნარჩენებისა) (მათ შორის, საბურავის, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

თქვენი აზრით, ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობა არის **პრევენციული, ეფექტური და პროპორციული?**

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის/DCFTA-ის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზანია უზრუნველყოფილ იქნას მხარეთა შორის გადაადგილების თავისუფლება და გამარტივდეს ვაჭრობა.

გადაადგილების თავისუფლება მიემართება:

საქონელს

მომსახურებას

კაპიტალს

პირს

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



ევროკავშირის შიდა ბაზარი (*internal market*) - ევროკავშირის ყველაზე მთავარი მიღწევა და გლობალიზაციის საუკეთესო აქტივია. „ყველა გზა რომში მიდის“

შიდა ბაზარი ახალ შესაძლებლობებს ხსნის:

- ევროკავშირის მოქალაქეებისთვის
 - დასაქმებულებისათვის
 - ბიზნეს-სუბიექტებისთვის
 - მომხმარებლებისთვის.
- შიდა ბაზარი უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ ვაჭრობას 27 ქვეყნის ფარგლებში.
 - პირებს აქვთ უფლება მოიპოვონ საარსებო წყაროები, იმუშაონ, ისწავლონ, იმოგზაურონ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში.
 - მომხმარებლებს აქვთ ფართო არჩევანი იყიდონ ნებისმიერი პროდუქტი/სურსათი კონკურენტუნარიან ფასებში და დაცული იყვნენ ერთნაირად კავშირის ყველა სახელმწიფოში.

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



საქონლის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ევროკავშირში საბაჟო კავშირის ფარგლებში აკრძალულია :

1. წევრ ქვეყნებს შორის იმპორტსა და ექსპორტზე საბაჟო გადასახადების ან ექვივალენტური ეფექტის მქონე ნებისმიერი სხვა ვალდებულებების არსებობა.
2. მესამე ქვეყნებთან მიმართებით საერთო საბაჟო ტარიფების ინდივიდუალური დადგენა წევრი ქვეყნების მიერ.

ასოცირების შეთანხმების თანახმად:

მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში **წარმოშობილ** პროდუქციაზე.

DCFTA-ის შეღავათები მიემართება საქართველოში **წარმოშობილ** საქონელს.

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



რა შემთხვევაში ჩაითვლება პროდუქტი საქართველოში წარმოშობილად?

- თუ საქონელი სრულად წარმოშობილია საქართველოში
- თუ საქონელი საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებულია საქართველოში

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



ე.წ. „დასონვილის“ ფორმულის თანახმად, რაოდენობრივი შეზღუდვის ეკვივალენტის ეფექტის მქონე ღონისძიება შეიძლება იყოს კავშირის წევრი ქვეყნის ყველა ის ქმედება, რაც რაიმე ფორმით, **პირდაპირ** თუ **ირიბად**, **ფაქტობრივად** თუ **პოტენციურად**, უარყოფითად აისახება ვაჭრობაზე წევრ ქვეყნებს შორის. მაგ.: კავშირის წევრ სახელმწიფოს არ აქვს უფლება არ დაუშვას კავშირის მეორე სახელმწიფოში წარმოებული პროდუქტი საკუთარ ბაზარზე იმ მოტივით, რომ ეროვნულ სტანდარტებს არ შეესაბამება.

- დასონვილის საქმე ეხებოდა შოტლანდიური ვისკის იმპორტს საფრანგეთიდან ბელგიაში. ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, საქონელი, რომლის დასახელება შეიცავდა ადგილწარმოშობის დასახელებას, ბელგიაში იმპორტისას, საჭიროებდა აუთენტურობის/ნამდვილობის დამადასტურებელ სერთიფიკატს. მოვაჭრემ/დასონვილმა ბელგიაში საფრანგეთიდან განახორციელა შოტლანდიური ვისკის იმპორტი მოთხოვნილი სერთიფიკატის გარეშე. დასონვილი წარსდგა ბელგიის სასამართლოს წინაშე კანონის დარღვევისთვის. იგი ამტკიცებდა, რომ ეს არის რაოდენობრივი შეზღუდვის ეკვივალენტის ეფექტის მქონე ღონისძიება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ხელშეკრულების ნორმებს. ბელგიის სასამართლომ მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილებისთვის. მართლმსაჯულების სასამართლომ განაცხადა, რომ ბელგიის კანონმდებლობა, რომელიც ითხოვს აუთენტურობის სერთიფიკატს, წარმოადგენს ზომას/ღონისძიებას, რომელსაც აქვს ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტი და ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების მიზანს. რამდენადაც ბელგიიდან არა შორ მანძილზე, მოვაჭრეს ჰქონდა შესაძლებლობა საფრანგეთში გაეყიდა შოტლანდიური ვისკი სერთიფიკატის გარეშე, უფლება აქვს შეზღუდვების გარეშე გაყიდოს იგივე საქონელი ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის ბაზარზეც.

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



- ე.წ. „დასონვილის“ ფორმულის თანახმად, რაოდენობრივი შეზღუდვის ეკვივალენტის ეფექტის მქონე მოგვიანებით, დასონვილის ფორმულის საკმაოდ ფართო ფარგლები შეიზღუდა ახალი სასამართლო პრეცედენტით - „კუკის“ ფორმულით.

საფრანგეთის კონკურენციისა და თაღლითობის პრევენციის დირექტორატმა მოამზადა ანგარიში, სადაც აისახა შემდეგი: „Picon Bière” (21% vol) ლიტრიანი ბოთლი და მარკეტში „CORA SA”-ში იყიდებოდა შემცირებულ ფასად (წაგებით/ზარალით). აღნიშნულის საფუძველზე საფრანგეთის პროკურატურამ აღძრა საქმე ჰიპერმარკეტის მენეჯერის წინააღმდეგ (1264 ბოთლი გაიყიდა 44.35 FF-ად, რომელიც შეძენის ფასზე ნაკლები იყო (48.27FF). საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, საქონლის გადაყიდვა ფასდაკლებით/დანაკარგით აკრძალული იყო. ნებისმიერი მოვაჭრე, რომელიც ახორციელებს პროდუქტის გადაყიდვას შეუცვლელ მდგომარეობაში იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე ფაქტობრივად შესაძენი ფასია, ექვემდებარება პასუხისმგებლობას 5000-დან-10000 FF -ის გადახდის სახით.

CJEU-ის მსჯელობის თანახმად, ის ფაქტი, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებში საქონლის გაყიდვის საკითხები არის განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირების საგანი, რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეულ აკრძალვებს, არ წარმოადგენს დისკრიმინაციას. ამ შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობა თანაბრად ვრცელდებოდა ყველა პირზე განურჩევლად წარმომავლობისა, რომელიც კი საქმიანობდა საფრანგეთში. ეროვნული კანონმდებლობა აწესებდა ზოგადი ხასიათის აკრძალვას დანაკარგით გადაყიდვაზე, რაც არ ზემოქმედებს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე (არ პოვებს მასზე გავლენას).

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



- ევროკავშირის შიდა ბაზარზე გადაადგილების თავისუფლება დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს, თუმცა ეს არ გამორიცხავს ისეთი აკრძალვების და შეზღუდვების არსებობას იმპორტთან, ექსპორტსა და საქონლის ტრანზიტთან დაკავშირებით, რომლებიც გამართლებულია საჯარო მორალით, საჯარო წესრიგითა და უსაფრთხოებით, ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობის დაცვით, ეროვნული საგანძურის დაცვით, რომელსაც აქვს ისტორიული, მხატვრული და არქეოლოგიური ფასეულობა, საწარმოო და კომერციული საკუთრების დაცვით.

შიდა ბაზარი საქონლის თავისუფლება



მინი-ქეისი

- თქვენ ხართ დეპუტატი (სახელმწიფო მოსამსახურე) ან ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი (საჯარო მოხელე).
- საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა მოამზადა კანონპროექტი მარჯვენასაჭიანი მანქანების საქართველოში აკრძალვასთან დაკავშირებით. თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება ან შეაფასოთ კანონპროექტი - რა შედეგებს გამოიწვევს? რა ზემოქმედება ექნება და ვისზე? ეწინააღმდეგება თუ არა ასოცირების შეთანხმებას და ევროკავშირის კანონმდებლობას/პრაქტიკას?

რა ლეგიტიმურ შეკითხვებს დასვამთ? რას შეამოწმებთ? რას მოიკვლევთ?

მდგრადი განვითარება



- DCFTA-ის თანახმად, მდგრადი განვითარება არსებობს მაშინ, როცა ვაჭრობა, შრომის სტანდარტები და გარემოსდაცვა - თანაბარმნიშვნელოვანი ასპექტებია და ერთმანეთთან თანხვედრაშია.
- ზემოაღნიშნულ სამთა კავშირი - ევროპული მიდგომაა ბაზრის ფუნქციონირებისა.
- იზლუდება შრომის სტანდარტებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სტანდარტების ვარდნა ინვესტიციების/ინვესტორების სასარგებლოდ

შესაბამისობის ცხრილი



ევროკავშირის სამართლებრივი აქტი	<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი /პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი /აქტები , არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. ნორმატიული აქტის პროექტი</p> <p>№2. ნორმატიული აქტი</p> <p>შესაბამისობა :</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>
---------------------------------	---

1	2	3	4	5	6	7
მუხლიან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლიან პუნქტი(ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები



ევროკავშირის
სამართლებრივი სახე

**LEGAL FACE
OF THE EU**